ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, ხახანოვის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 60,000 მან. ნონპარელი
4 „ 50,000
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 800,000 მან.
4 „ 500,000

№ 443 პარასკევი, აპრილის 13 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს წითელი ჯარისთვის

## საქართველოს მშრომელ ხალხს

ამხანაგებო მუშებო და გლეხებო, ამ დღეებში გამოცხადდება 1901 წ. დაბადებულთა. ქართულ წითელ ლაშქარში გაწვევა.

რევოლიუციონური წითელი ლაშქრის რიგები სოფლისა და ქალაქის ახალგაზრდა მუშებმა უნდა შეავსონ და მით უზრუნველჰყონ სოციალისტური რესპუბლიკები გარეშე თუ შინა კონტრ-რევოლიუციის თავდასხმისაგან.

წითელი ჯარი წარმოიშვა, გაიზარდა და გაჯანსაღდა როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური ცოდნის მხრივ მუშათა კლასის ბრძოლის პროცესში.

პირველი აკვანი წითელი ჯარის ეს რუსეთია, რომლის მუშებმა და გლეხებმა შეჰქმნეს ძლევა მოსილი რეგულიარული ჯარი მტრების შესამუსრავად. თქვენ დაინახეთ და დარწმუნდით, თუ როგორ იბრძოდა მუშების და გლეხების ჯარი, როდესაც მათ წინაამდეგ იმპერიალისტურ ქვეყნების კორპუსები და დივიზიები დაირაზმა და იერიში მოჰქონდა რუსეთის შინა კონტრ-რევოლიუციონერების დახმარებით და ლოცვა-კურთხევით.

რიცხვით მრავალი, სურსათ სანოვაგით უზრუნველყოფილი, თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული იმპერიალისტური ჯარი უკუ აქცია შრომის ღვიძლმა შვილმა, წითელმა ჯარმა. ასეთ პირობებში მზგავსი მარცხი მტრების და გამარჯვება ჯერ კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს. ეს იმიტომ, რომ წითელი ჯარი უპირველეს ყოვლისა ღვიძლი შვილია მუშების და გლეხების.

ეს იმიტომ, რომ დღეს მუშები მთავრობაა, ივივე მუშებია.

წითელმა ჯარმა იცოდა და იცის, რომ ის თავის საკუთარ საქმეს აკეთებს. მან იცის, რომ თავისი სისხლით და ხორცით უნდა დაიცვას მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა საბჭოები (მუშათა უზენაესი პარლამენტები), რომელიც ატარებს ცხოვრებაში მშრომელთა ხალხის საკეთილდღეოთ რევოლიუციონურ პრინციპებს და კანონებს, რომელიც გაბედულათა და შეურყევლათ ებრძვის დრომოჭმულ უკვე რეაქციონურ კაპიტალისტურ წარმოებას და ნიადაგს უმზადებს ახალს სოციალისტურ წარმოებას და თანამშრომლობას.

წითელმა ჯარმა იცის, რომ საბჭოების დამარცხება ეს ძველის აღდგენაა (რესტავრაცია), მიწების მემამულეთა დაბრუნებაა, ფაბრიკა ქარხნების და ყველა წარმოების ერთი მუჭა კაპიტალისტთა ხელში გადასვლაა.

საბჭოების დამარცხება ეს მუშათა და გლეხთა დამარცხებაა, მუშების და გლეხების პოლიტიკურად და ეკონომიურად მონობაა.

საბჭოების დამარცხება—ეს ძალა-უფლების მემამულეთა და კაპიტალისტთა ხელში გადასვლაა. იცის რა ყველა ეს წითელმა ჯარმა—ამიტომ ის უძლეველია და სახელოვანი დარაჯი მუშათა ინტერესებისა, მისი სახელი და მოგონება შიშის ზარს სცემს ბურჟუაზიულ კაპიტალისტურ ქვეყნებს, მათ ჯარს და სარდლობას.

მუშებო და გლეხებო, მხოლოდ წითელ ჯარს შეუძლია საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება; საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება კი ერთი უდიდესი გარანტიაა ეკონომიური წინმსვლელობისათვის, ქვეყნის კულტურულად განვითარებისათვის, ყოველივე ომის, შურის და მტრობის მოსპობისათვის და სოციალიზმის საბოლოოდ გამარჯვებისათვის.

რუსეთის დიდმა ოქტომბრის რევოლიუციამ და ხუთი წლის სამოქალაქო ომმა ნათლად დაგვანახა, რომ მუშათა კლასის გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება მაშინ, როდესაც მას ეყოლება თავისი რეგულიარული ჯარი.

ჯერ კიდევ, როდესაც გარშემორტყმული ვართ ურიცხვი მტრებით, რომლებიც ერთხელ კიდევ შეეცდებიან გამოსწიონ ჩვენს წინაალმდეგ თავიანთი ბინძური ხელები. გვმართებს მუშათა და გლეხთა მშვიდობიანი აღმშენებლობითი საქმისათვის ფოლადისებური რევოლიუციონური ცეცხლით გულში ანთებული და მჭრელი მახვილით ხელში გაწვრთნილი დარაჯი, წითელი ჯარის სახით.

ამ ჭეშმარიტებას თქვენ. საქართველოს მშრომელო ხალხო, თვით ხედავთ და ჩვენ დარწმუნებული ვართ აღფრთოვანებით და ერთსულოვანებით შეავსებთ წითელ ლაშქრის რიგებს.

ქართული წითელი ჯარი აღზრდილი სოციალისტური იდეით ერთი რაზმთაგანი იქნება კომუნისტური ინტერნაციონალური ჯარის, რომელიც საბჭოთა რესპუბლიკების დაცვაში დაამტკიცებს თუ როგორ უნდა ბრძოლა კომუნისტური იდეალებისათვის.

საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს ღრმად სწამს, რომ ახლად გაწვეულნი სულ მოკლე ხანში—ჩვენს წითელ ყაზარმებში მიიღებს შესაფერ სამხედრო ცოდნას და გონებრივ განვითარებას, რის შემდეგ ერთი იდეით, პოლიტიკური ცოდნით აღსავსე, საბჭოთა წყობილების დაცვაში დაინტერესებულნი დაუბრუნდებიან თავიანთ ოჯახებს და ჩადგებიან სოფლისა და ქალაქის მუშების მოწინავე რიგებში მშრომელთა ხალხის საკეთილდღეოთ.

დიდება და სალამი წითელ ჯარს და მის სარდლობას!

გაუმარჯოს დიდ ინტერნაციონალურ წითელ ჯარის ერთ რაზმს—საქართველოს წითელ არმიას!

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სალამი ჯარში ახლად გასაწვევთ!

**სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მიხა ცხაკაია,**

**მდივანი პარმენ საბაშვილი.**

# საქართველოს წითელი ჯარი

დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის მოწოდება წითელი ჯარის შევსების შესახებ.

არავისთვის სადაო არ უნდა იყოს ის ფაქტი, ვინც ჭეშმარიტი შვილია ჩვენი ხალხის, რომ ჩვენი ქვეყნისათვის განუზომელი მნიშვნელობა აქვს საქართველოს წითელ ჯარს. იგი უნდა იქნეს დარაჯი და მცველი ქართველი ხალხისა, როგორც საგარეო ისე საშინაო ავანტიურისაგან, მან უნდა მიანიჭოს ქვეყანას მშვიდობიანი მუშაობისა და საქმიანობის პირობების უზრუნველყოფა, იგი უნდა იქნეს მშრომელთა ძალა-უფლების ერთგული გუშაგი და მედგარი დამცველი.

შეიძლება კიდევ არის ჩვენში ისეთი მოქალაქე, რომლისათვის საჭირო იყოს განმარტება ჯარის არსებობის გამართლებისა რევოლიუციის დროს და მუშათა ძალა-უფლების ეპოქაში. უეჭველად მრავალია ისეთი ხალხი, რომელნიც „ჰუმანიური„ იდეებით ხელმძღვანელობენ და უარყოფენ „სისხლიან“ „მილიტარულ“ რევოლიუციას.

ამიტომ ზედმეტი არ იქნება იმის აღნიშვნა, თუ რამდენათ მისაღები უნდა იყოს რევოლიუციონერისათვის „სისხლიანი“ რევოლიუცია და წითელი ჯარი, რომელიც **ხმალით** დაიცავს არსებულ ძალა-უფლებას და ჯეროვან პასუხს გასცემს ყველა მას, ვინც მოისურვებს მშრომელი ხალხის გახვევას ავანტიურის ქსელში.

ჩვენი იდეალი ყოველთვის იყო მილიტარული ძალის—რეგულიარული ჯარის მოსპობა. დღეს თუ ამ ძალას ისევ მივმართავთ, მივმართავთ სწორეთ **ამავე მიზნისათვის.** წითელი ჯარის უმთავრესი მისიაა **ყოველივე ომის მოსპობა** და ამისთვის ის და ჩვენც მასთან იძულებული ვართ **ვიომოთ,** რადგან მოწინააღმდეგე უომრად არაფერს თმობს.

ეს დებულება სოფისტური ლაყბობა კი არ არის, რომელიც ესოდენ დიდათ უყვარს ბურჟუაზიის აპოლოგეტებს, არამედ ეს მშრომელი ხალხის რეალური ინტერესის ანარეკლია.

ვიდრე კაპიტალისტური წყობილება არ დაგვიმხვია, ვიდრე ადამიანის სიცოცხლე საშუალებაა კაპიტალის მაგნატთა ხელში და არა თვით მიზანი, ვიდრე თავს გვესხმიან შიგნით და გარეთ პოლიტიკურად შავი ელემენტები და ცდილობენ თავისი ვიწრო პარტიული, თუ კლასიური ინტერესის დაკმაყოფილებისათვის სისხლის მორევში გახვიონ ქართველი ხალხი, მინამ საქართველოს მუშებმა და გლეხებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ დღეს „ხმალზედ უფრო ძლიერად“ არ „სჭრის პატარა და რბილი ენა“ და ცეცხლის ენები უნდა აალაპარაკოს იქ, სადაც სამართლიანობა არ სჭრის საკითხს გამზადებული მტრების ბანაკში.

მუშათა კლასმა თავდასხმა რომ არ აწარმოოს კაპიტალისტებზედ და მათ დამცველებზედ. მან „ჰუმანიური“ იდეებით, რომ პაციფისტურად იმოქმედოს, მაშინ მას თავს დაესხმიან და იგი მაინც იძულებული იქნება **იარაღით ხელში იბრძოლოს,** მაგრამ ბრძოლა მოუხდეს გამარჯვების ნაკლები შანსებით.

ამდენადვე ჩვენი ზნეობრივი მიზნისათვის, რაც შეადგენს ადამიანთა თანასწორობას ამ სიტყვის ფართო გაგებით, ჩვენ მოვიხმართ აუცილებელ საშუალებას, თუ გინდ ის საშუალება იყოს თოფი და დინამიტი.

საქართველოში განსაკუთრებული ყურადღების საგნად უნდა იქნეს წითელი ჯარის შედგენისა და შევსების საკითხი. ეროვნული სამხედრო ძალა უნდა დაუდგეს დარაჯად საბჭოთა საქართველოს.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ქართველი გლეხი და მუშა სიხარულით გაგზავნის თავის შვილს და ძმას წითელ ჯარში დარწმუნებული, რომ ამით იგი ემსახურება არა ვინმე გარეშეს, არამედ თავის ოჯახს, თავის მეურნეობას, მუშის მარჯვენას.

წითელი ჯარი მას დაუბრუნებს შინ განვითარებულს, გათვითცნობიერებულს და შეგნებულ წევრს საზოგადოებისას, რომელიც ღირსეულად შესძლებს ერისა და ხალხის სამსახურს, როგორც ბრძოლის ველზე გამართულ ჭიდილში, ისე სამეურნეო და კულტურულ ფრონტზედ.

**სალამი საქართველოს წითელ ჯარს.**

**სალამი მშრომელ ახალგაზრდობის შეკრებას წითელ ყაზარმაში.**

# პრესა

„**კომუნისტის**“ № 80-ში კოტე ბერეკაშვილი ეხება მევენახეობის მდგომარეობას ზემო-იმერეთში და სწერს შემდეგს:

> ვენახების სიპატარავე, უგზოობა, ღობეები, ძველებური წესი დამუშავების, წამლობის ცალ-ცალკე მუშაობა, კავშირების და კოოპერატივების უქონლობა, ცოტა მოსავალი, ღვინის ძველებურად დაყენება და ბევრი სხვა არის მიზეზი იმისა, რომ არსად არ ჯდება ისე ძვირად ვენახის დამუშავება, როგორც საზოგადოთ საქართველოში და კერძოთ ზემო იმერეთში. და ამ მხრივ რომ შევადაროთ სხვა ქვეყნების საუკეთესო ვენახების დამუშავების ხარჯებს, პირველი ბევრათ ნაკლებია“.
>
> „**რა გვიშველის ჩვენ და რა საშვალებით შეგვიძლია შევაყენოთ ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობა სწორ განვითარების გზაზე?**“
>
> „თქმა არ უნდა, ჩვენ უნდა მივბაძოთ და შემოვიღოთ ის წესები ვენახების მოვლა დამუშავებაში, და ღვინის დაყენებაში მოვლაში, რამაც წასწია წინ სხვა ქვეყნების მევენახეობა და მეღვინეობა. რასაკვირველია. ახალი წესების შემოღება უნდა იქნეს შეფარდებული ჩვენი ქვეყნის ბუნების და მიწაწყლის პირობებთან“.
>
> „**ზემო იმერეთის ვენახების მოვლა დამუშავება უნდა გაიაფდეს ტეხნიკის გაუმჯობესებით. წამლობა და ბრძოლა მავნებლებთან უნდა წარმოებდეს მეცნიერების უკანასკნელ გამოკვლევების და ჩვენების თანახმათ.**
>
> **ღვინის დასაყენებლად, მოსავლელად და შესანახათ უნდა შემოვიღოთ სათანადო მოწყობილობები და ყველა ამ საქმეში უნდა გაუსწორდეთ და გაუსწოროთ წინ სხვა ქვეყნებს;**“

**რანაირათ მოვახერხოთ ეს და რა გვიშველის?**

> მევენახეთა დაკავშირება, კოოპერატივების მოწყობა, სასწავლებლის დაარსება, სესხის მოწყობა, საზოგადო ღვინის სარდაფების აშენება და მოწყობა,—აი უმთავრესი საშუალებანი მევენახეობის და მეღვინეობის განსავითარებლად. ასე მოხდა სხვაგან, ასე უნდა მოხდეს ჩვენშიაც.
>
> ძნელია და ძვირი 'დაგვიჯდებაო—მეტყვის მშრომელი მევენახე.
>
> ამხანაგებო, ძნელია თუ ადვილი, ძვირია თუ იაფი, ხალხურ საქმეს გვერდი არ შეევლება და რაც საჭიროა უნდა გაკეთდეს და მოეწყოს ადრე და მალე.
>
> როცა ხალხი ერთსულოვნათ რაიმეს გაკეთებას მოინდომებს, მისთვის ძნელი არაფერი არ იქნება.“

სწორ გზაზე მიუთითებს ავტორი და სხვა გამოსავალი არ დარჩენია ჩვენ მშრომელ გლეხობას, რომელსაც გული შესტკივა თავის ოჯახის და ქვეყნის აყვავება განვითარებისთვის. კოოპერატიული გზა ერთად-ერთი სწორი და საიმედოა დღეს სახელმწიფო წარმოებასთან ერთად, რომ ჩვენი ქვეყნის მეურნეობა და მრეწველობა განვითარდეს, ჩვენ მუდამ ამ გზას ვურჩევდით ჩვენ მშრომელ ხალხს და ეხლაც დაბეჯითებით მოუწოდებთ აქეთკენ. ავტორის მიერ დასახელებულ საშვალებებს უნდა დაემატოს აგრეთვე მშრომელ გლეხთა **საურთიერთო დახმარების** მოწყობა და მათი **დაზღვევა თანაბრად ქალაქის მუშებისა.**

---

„**რას უნდა ვათხოვოთ ჩვენი ყურადღება**“—ამ სათაურით გაზ. „**მიწის მუშა**“ № 135 სამართლიანად აღნიშნავს, რომ ჩვენ სახელმწიფო დაწესებულებებში შეუფერებელი პირები სხედან და ზიანს აყენებენ საბჭოთა სისტემის და მუშურ-გლეხური ხელისუფლების ავტორიტეტს.

> „არც საეჭვო და არც სადავო არ უნდა იყოს ვინმესათვის, რომ ჩვენ სახელმწიფო დაწესებულებებს მართლაც კი ესაჭიროება გამომრთელება.
>
> **ვის ხელშია ჩვენი საბჭოთა დაწესებულებანი?**
>
> **უმთავრესად ისევ იმავ ძველი ჩინოვნიკების ხელში,** რომელთაც საბჭოთა ხელისუფლების არც იმდენი სიყვარული აქვთ გულში და ძალიანაც რომ უნდოდეთ მისი გულწრფელი სამსახური, მაინც ვერაფერს გახდებიან, ვინაიდან ისინი სრულებით სხვა ადათებზე და წესებზე არიან გაზრდილი.“

ვის არ უნახავს სოფლად თუ ქალაქად ვინმე „ბობოლას“ კაბინეტის კარებთან ატუზული? ჯერ მის ნახვას ვერ ეღირსება კაცი და თუ ნახე, პასუხს ძველ ჩინოვნიკურს მიიღებ. და ეს არა მარტო ძველი ჩინოვნიკებისაგან, არამედ „ჩვენი ხალხისაგანაც“.

> „ცოდვა გამოტეხილი სჯობია, ზოგიერთმა ჩვენმა ამხანაგებმაც ისე კარგათ ისწავლეს „ჩინოვნიკური“ მოპყრობა, რომ ხან და ხან გაკვირვებული შენ თავს ეკითხები, სად ისწავლა ამ ხალხმა ეს ძველებური გარჯა და მოქცევა.“

მაგრამ ვსთქვათ, რომ პასუხს ეღირსეთ,—ეხლა დაპირებულის შესრულების ლოდინში სული შეგიწუხდებათ.

> „უეჭველია, რომ ჩვენ სახელმწიფო აღმშენებლობას ბევრათ აფერხებს და უკან სწევს ჩვენი მომქმედ დაწესებულებათა მოუხეშაობა, მათი პირადი შემადგენლობის უვარგისობა დაკისრებულ საქმის ასრულებისათვის.
>
> ამას რომ გამოსწორება და გადახალისება ესაჭიროება, ამაზე დღეს ლაპარაკი ზედმეტია.“

ასეთი ხალხის მორჯულება გაზეთს შეუძლებლად მიაჩნია. ისინი უეჭველად უნდა შეცვლილ იქმნენ სათანადო პირებით, რომლის მომზადებას დრო უნდა. მანამ კი!

> „ჩვენი გაზეთები დღე მუდამ თვალსა და ყურს არ უნდა აშორებდენ ჩვენ დაწესებულებათა მოქმედებას.
>
> **არც ერთი მრუდე ნაბიჯი, არც ერთი ნებსით, თუ უნებლიეთ ჩადენილი მოქმედება ჩვენი ხელისუფლების საზარალო არ უნდა დარჩეს პასუხგაუცემელი**“
>
> „**საჭიროა მხილება,** მაგრამ აქ ძლიერ ადვილია შემცდარი ნაბიჯის გადადგმაც.
>
> **ამ საქმეს ნამეტანი სიფრთხილეც ესაჭიროება.**
>
> კარგია ისეთი მხილება, რომელიც ნამდვილ ცნობაზე იქნება დამყარებული, კარგია ისეთი ნაკლის წინაალმდეგ გალაშქრება, რომელიც მართლაც რომ არსებობს“.

უამისოდ კი, რა თქმა უნდა, მხილება სარგებლობის მაგიერ ზიანს მოუტანს საერთო საქმეს.

ეს დიდი პასუხისმგებლობა უნდა უსათუოდ იკისროს და შეასრულოს ჩვენმა პრესამ და:

> „ამ საქმეში ჩვენ გაზეთებს უნდა დაეხმაროს **თვითეული შეგნებული მუშა და გლეხი თვითეული პატიოსანი მოქალაქე,** რომელსაც სწამს მშრომელი ხალხის საუკეთესო მომავალი.
>
> არც ერთი ბოროტმოქმედება, არც ერთი, თუნდა უბრალო გარემოება, რომელიც არ შეესაბამება ჩვენ ხელისუფლებას, თუ კი ასეთ რამეს შენიშნავს ვინმე რომელიმე ჩვენ დაწესებულებაში, არ უნდა დარჩეს გამოუმჟღავნებელი და უმხილებლად დატოვებული“.

# ტელეგრამები

## რურის ოლქის ოკუპაცია

### უარყოფითი შედეგები.

**ბერლინი,** 12 აპრილი. გერმანიის პრესა აღნიშნავს, რომ რურის ოლქის ოკუპაციამ სამი თვის განმავლობაში აბსოლიუტურად უარყოფითი გავლენა იქონია მხარის მრეწველობაზე. მარტის დამლევამდე საფრანგეთმა და ბელგიამ 4,2 მილ. ტონა ნახშირის ნაცვლად მიიღეს 238.000 ტონა, რომლის მიღება შეიძლებოდა მშვიდობიანი გზითაც. სამი

თვის განმავლობაში ოკუპანტებმა მოახერხეს მხოლოდ 49 გერმანელის მოკვლა და რეინლანდიიდან და რურიდან მრავალი ათასი მცხოვრებლების გადასახლება, მრავალთათვის სხვა და სხვა ვადით ციხის მისჯა, მრავალი მილიონი მარკის მითვისება და აუარებელი ჯარიმების და კონტრიბუციის გადახდევინება, რომელთა ჯამის გამოანგარიშება ჯერ კიდევ შეუძლებელია.

**აუცილებელია კონფლიქტის სასწრაფოდ გადაჭრა.**

**ბერლინი**, 12 აპრილი. „დეილი ტელეგრაფის" დიპლომატიური კორესპონდენტის სიტყვით, აუცილებელია რაც შეიძლება დაჩქარებით გადაჭრილი იქნეს რურის კონფლიქტის საკითხი. ეს აუცილებლობა გამოწვეულია მით, რომ პუანკარემ და ლუშერმა აღიარეს, რომ ეხლანდელი მდგომარეობა ავნებს ანტანტის ინტერესებს და აძლიერებს გერმანიის წინააღმდეგობას. ბელგიის სათანადო წრეები ეჭვს გამოსთქვამენ ლუშერის ლონდონში გამგზავრების რაიმე სასურველ შედეგებში, რადგან არც წინად და არც ლუშერის პუანკარესადმი მოხსენების შემდეგ ამის შესახებ არავითარი ოფიციალური ცნობა არ გამოქვეყნებულა.

**ინგლისის პრესა გერმანიის დაქუცმაცების წინააღმდეგ.**

**ბერლინი**, 12 აპრილი. ინგლისის პრესა გარკვევით წინააღმდეგია გერმანიის დაქუცმაცების და მოითხოვს გერმანიის საკონტრიბუციო ვალდებულებათა შემცირებას.

**ჯარიმები.**

**ბერლინი**, 12 აპრილი. ქალაქ დიუნსბურგს შეაწერეს ჯარიმა 75 მილ. მარკის რაოდენობით, თითქოს ტელეგრაფზე განზრახული საბოტაჟის გამო. ქალაქ მეშტმანს დაადეს ჯარიმა 30 მილ. მარკის რაოდენობით, საფრანგეთის ოფიცერზე თავდასხმის გამო. ჯარიმა შეტანილი უნდა იქნეს 8 დღის განმავლობაში. ქალაქ ბურს შეაწერეს ჯარიმა 50 მილ. მარკის რაოდენობით, რეკლინ-გაუზენოსტერფელდის რკინის გზის ხაზზე ხიდის აფეთქების გამო. ქალაქში აკრძალულია მიმოსვლა ღამით.

**ოკუპაციის გაფართოება.**

**ბერლინი**, 12 აპრილი. მანჰეიმის მახლობლად საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს სამრეწველო რაიონი ნეკარზე.

**გერმანიის სტატს-სეკრეტარის გამის დაპატიმრება.**

**ბერლინი**, 12 აპრილი. გერმანიის სტატს-სეკრეტარი გამი, რომელიც ჩავიდა ესსენში ესსენის ამბების მსხვერპლთა დასაფლავებაში მონაწილეობის მისაღებად, დააპატიმრა საოკუპაციო ხელისუფლებამ და გაგზავნა შანგორტის წინასწარ ციხეში. 2 საათის პატიმრობის შემდეგ გამი გაანთავისუფლეს და გადაასახლეს დაკავებულ ტერიტორიიდან გაფრთხილებით, რომ სასტიკად იქნება დასჯილი იმ შემთხვევაში, თუ კვლავ დაბრუნდება ამ ადგილებში.

**კიდევ ერთი მსხვერპლი.**

**ბერლინი**, 12 აპრილი. გუშინ ღამით ესსენში მოკვდა მუშა, რომელიც მძიმედ იყო დაჭრილი კრუპის ქარხნებში მომხდარი შეტაკების დროს.

**საფრანგეთის და ინგლისს შორის ხდება ახალი შეთანხმება.**

**მოსკოვი**, 12 აპრილი. ლუშერის მოლაპარაკება ინგლისის პოლიტიკურ წრეებთან დიდ საიდუმლოებაში ინახება. გაზეთები აღნიშნავენ, რომ საფრანგეთ-ინგლისს შორის ხდება ახალი დაახლოება. ოფიციალურ წრეებში ლუშერის ინგლისის პოლიტიკურ მოღვაწეებთან საუბრის გამო აღნიშნავენ, რომ ინგლისი ყოველთვის თანაუგრძნობდა საფრანგეთს და მზად იყო მისთვის ხელი გაეწოდებია. ლუშერმა მოხსენება გაუკეთა პუანკარეს და ეს მოხსენება განმეორებული იქნება კონფერენციაზე ბელგიის პრემიერ ტენისის და გარეშე საქმეთა მინისტრის ჟანსპორის თანდასწრებით. ფიქრობენ, რომ კონფერენცია შეიმუშავებს ახალ მოქმედების ხაზს გერმანიის მიმართ. გაზეთ „მატენის" აზრით საფრანგეთს, ინგლისს და ბელგიის შორის მიღწეულ იქნება შეთანხმება, რომელსაც საფუძვლად დაედება მოკავშირეთა ვალების, მათ შორის ამერიკისაგან აღებულ ვალების გაუქმება სარეპარაციო საკითხში საფრანგეთის მიერ დათმობის კომპენსაციის სახით.

**ფრანგები განაგრძობენ მაღაროების დაკავებას.**

**მოსკოვი**. 12 აპრილი. ფრანგები და ბელგიელები განაგრძობენ რურში სახელმწიფო და კერძო მაღაროების ხელში ჩაგდებას. სულ ფრანგების მიერ დაკავებულია 14 მაღარო. ფრანგების მიერ მაღაროების დაკავების შემდეგ გერმანიის მუშები თავს ანებებენ მუშაობას. მათ სცვლიან ფრანგები. საფრანგეთში ნახშირის გადაზიდვის უზრუნველსაყოფლად დაკავებულია მთელი რიგი რკინის გზის სადგურებისა, უკანასკნელ ხანებში დაკავებულ სადგურების შემდეგ საოკუპაციო ხელისუფლების მიერ გადასახლებული იქნა ბინებიდან 125 რკინისგზელის ოჯახები.

**ჯარიმა.**

**მოსკოვი**. 12 აპრილი. საოკუპაციო ხელისუფლების მიერ ბოხუმს მიესაჯა 100 მილ. მარკის ჯარიმა. ჯარიმის დაწესებას ფრანგები ასაბუთებენ იმით, რომ ბოხუმში ადგილი ქონდა ფრანგ ჯარისკაცის მოკვლას. ჯარიმის გადახდის უზრუნველსაყოფად ფრანგებმა დააპატიმრეს ბოხუმის ქალაქის სამმართველოს ბევრი წევრები.

**საფრანგეთის მთავრობის აბნევა.**

**მოსკოვი**. 12 აპრილი. ლუშერის ლონდონში გამგზავრების ოფიციალურ ხასიათს არავინ უარს არ ყოფს. საფრანგეთის მთავრობა წინადადებას იძლევა დაიჭირონ შეურიგებელი პოზიცია რურის და რეპარაციების საკითხში. საფრანგეთის მსხვილი სამრეწველო წრეები ვერ ფარავენ თავიანთ უკმაყოფილებას ასეთ პოზიციით და აცხადებენ, რომ უმჯობესი იყო სულ არ დაეკავებიათ რურის ოლქი. გაზეთები ადასტურებენ, რომ საფრანგეთ-გერმანიის კონფლიქტი გადადის განვითარების ახალ ფაზაში, ამ ფაზის პირველი ეტაპი იქნება მოკავშირეებში ერთნაირი შეხედულების აღდგენა. კომუნისტური გაზეთი „იუმანიტე" აღნიშნავს საფრანგეთის მთავრობის აბნევას და ძველ პოლიტიკაზე უარის თქმას.

**ესსენის ამბების მსხვერპლის დაკრძალვა.**

**მოსკოვი**. 12 აპრილი. ფრანგების მიერ ესსენის ამბების დროს დახოცილ 13 მუშის დაკრძალვა მოხდა ესსენში დიდძალი ხალხის თანადასწრებით. კუბოებს მოსდევდა 34.000 ათასი მუშა. პროცესიაში მონაწილეობას იღებდა 300.000 კაცი. 100-ზე მეტი წითელი დროშა ფრიალებდა პროცესიაზე. კომუნისტებს მიქონდათ წინ საბჭოთა ვარსკვლავი. მუშაობა ესსენში ყველგან შესწყდა. მოხსნილ იქნა ქუჩებში ფრანგების დარაჯები. დაკრძალვის დღეს მთელ გერმანიაში გაისმოდა სამგლოვიარო ზარის რეკა. ბერლინში დემონსტრაციის ცენტრათ იყო რეიხსტაგი, რომლის სხდომაზე დაესწრენ ესსენის დელეგატები, რომელნიც ისხდენ საპატიო ადგილებზე. გერმანიის კანცლერმა კუნომ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ გერმანიის მთავრობა მზათაა შეუთანხმდეს ფრანგებს იმ შემთხვევაში, თუ ისინი გასწმენდენ რურს და შეამცირებენ სარეპარაციო [illegible] ცული იქნება რურის და [illegible] ოლქის ტერიტორიალური მთლიანობა.

## უცხოეთი

**საფრანგეთის კარნახით.**

**მოსკოვი** 12 აპრილი. ბეირუთის გაზეთი „ელი ანცგი" ეხება რა მდგომარეობას სირიაში სწერს; არსებული მთავრობა ანტი-ნაციონალურია. სირიაში არ არის საყოველთაო საარჩევნო უფლება და მთავრობის მთელი მოქმედება სწარმოებს საფრანგეთის კარნახით".

**არაბების აჯანყება.**

**მოსკოვი** 12 აპრილი. გაზეთი „ელმუკ-ტემესი" უწყება, რომ იტალიის ტრიპოლიტანიაში აჯანყება იზრდება.

**მთავრობის კრიზისი.**

**მოსკოვი** 12 აპრილი. სტოკჰოლმიდან იუწყებიან, რომ საბიუჯეტო კომისიის მიერ კომპრომისული პროექტის უარყოფის გამო, შეიქმნა მთავრობის კრიზისი. მთავრობამ წინადადება მისცა შეეცვალა კანონი უმუშევართა შესახებ ისე, რომ უმუშევართ, რომლებმაც უმუშევრად დაჰყვეს 6 თვეზე მეტი, არ დაკარგოდათ დახმარების მიღების უფლება. კონსერვატორები, ლიბერალების ნაწილი და გლეხთა კავშირის წევრები ამ კომპრომისული პროექტის წინააღმდეგ წავიდენ. კამათს ამ საკითხის შესახებ მეტად მწვავე ხასიათი მიეცა. კომუნისტმა გინბერმა სთქვა, რომ ბურჟუაზიული პარტიები არ საჭიროებენ სოციალ დემოკრატიულ მთავრობას, რომელიც გამოიყენეს საშიშ პერიოდში მუშების დასამშვიდებლათ.

**მზეჭდავების გაფიცვა.**

**მოსკოვი**, 12 მოსკოვი. სტოკჰოლმიდან მიღებული ცნობით ნორვეგიაში დაიწყო მბეჭდავების გაფიცვა. მბეჭდავები მოითხოვენ შრომის ხელფასის გადიდებას.

**ნაძირალები მოქმედებენ.**

**მოსკოვი**, 12 მარტი. ვარშავიდან იუწყებიან, რომ დემონსტრაცია ცეპლიაკის პროცესზე გამოტანილ განაჩენის წინააღმდეგ, რომელიც მისი მომწყობთა აზრით უნდა ყოფილიყო „კულტურული პროტესტის" ხასიათის, ებრაელთა აწიოკება-დარბევით დამთავრდა. დეპუტაცია მიტინგისა, რომელზედაც მიღებული იქნა რეზოლიუცია კომუნისტების წინააღმდეგ საველე სასამართლოების შემოღების შესახებ და აგრეთვე სეიმიდან კომუნისტ დეპუტატების კრულიკოვსკის და ლანცუცკის გაძევების შესახებ მიიღო სიკორსკიმ, რომელმაც განაცხადა, რომ ის უარს არ ამბობს პოლონეთის მოქალაქეების უფლებების დაცვაზე რუსეთში. მიუხედავად ამისა, სიკორსკი კომუნისტების მიმართ უკიდურესი ზომების მიღების წინააღმდეგ წავიდა, რომ ამით არ იქნას გამოწვეული ახალი რეპრესიები საბჭოთა მთავრობის მხრივ. მიტინგის შემდეგ ნაძირალების ბრბო დაიშალა მთელს ქალაქში და სცემა ებრაელებს. ებრაელების რბევამ ისეთი საშინელი ხასიათი მიიღო, რომ მთავრობა იძულებული გახდა ჯარები გაეგზავნა ნაძირალების წინააღმდეგ. მრავალი ებრაელი მოჰკლეს და დასჭრეს.

**თეთრი ტერორი ესტონიაში**

**მოსკოვი** 11 აპრილი. კომინტერნის აღმასკომმა გამოუშვა მოწოდება იმ ტერორის გამო. რომელსაც ესტონიის მთავრობა აწარმოებს მუშათა წინამძღოლების წინააღმდეგ. კრეუქსში გასროლილი ტყვია მიმართულია ნამდვილათ ესტონიის მუშათა კლასისაკენ, რომელიც მთლიანი ფრონტით გამოდის და რომელიც მრავალრიცხოვან კრებებზე ესტონიის კომპარტიის ც. კ. ს. წევრებს ირჩევს პარლამენტის წარმომადგენლებათ. მოწოდება იწვევს მუშებს რიგების გაერთიანებისა უკანასკნელ გადამწყვეტ ბრძოლისათვის მზადებისაკენ.

**რუმინიის ტუსაღთა დასახმარებლათ**

**მოსკოვი** 11 აპრილი. რევოლიუციონერების დამხმარე საერთაშორისო საზოგადოება იღებს ზომებს გასაცვლელათ იმ ტუსაღების, რომლებიც იმყოფებიან რუმინიის საპყრობილეებში.

**ახალი გარეშე საქმეთა მინისტრი.**

**მოსკოვი** 12 აპრილი. პეკინიდან იტყობინებიან, რომ ველიკტონკუ დანიშნულია ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე.

**საალყო წესების წინაშე.**

**მოსკოვი** 12 აპრილი. მიუხედავად იმისა, რომ რუმინეთის მთავრობა ოფიციალურად უარყოფს ხმებს რუმინეთში სერიოზულ მღელვარების შესახებ, მდგომარეობა იქ მაინც ძლიერ გართულებულია. პარლამენტის შენობას იცავს შეიარაღებული რაზმი. პარლამენტის ოპოზიციის წევრები, იმყოფებიან შინაური დაპატიმრების ქვეშ მთავრობას განზრახული აქვს გამოაცხადოს საალყო წესები და მობილიზაცია.

**ბორას რუსეთში გამგზავრების შესახებ.**

**მოსკოვი**, 12 აპრილი. სენატორმა ბორამ „როსტა"-ს კორესპონდენტან საუბრის დროს განაცხადა, რომ საკითხი მისი რუსეთში გამგზავრების შესახებ ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ გადაჭრილი, გამგზავრება დამოკიდებულია ამერიკის საქმეების მსვლელობისაგან.

**ეშინიათ კომუნისტების.**

**მოსკოვი**, 15 აპრილი. ამერიკის მუშათა ფედერაციის რეაქციონურმა ვიცე-პრეზიდენტმა ვოლლმა მიმართა მთავრობას მოთხოვნილებით, რომელშიაც აღნიშნავს, რომ შეწყვეტილი უნდა იქნეს ფოსტერის დევნა, კომუნისტური პროპაგანდის გაძლიერების თავიდან აშორების მიზნით. ვოლლი აღნიშნავს, რომ ფოსტერის პროცესმა ხელი შეუწყო კომუნისტური პარტიის გამარჯვებას და რომ მთავრობამ ამ პროცესით მხოლოდ ფართო რეკლამა მისცა კომუნისტებს.

**ახალი დაპატიმრებანი**

**მოსკოვი**. 12 აპრ. ანგორიდან იტყობინებიან, რომ ეგვიპტეში ინგლისის რაზმებში ყუმპარების ჩაგდების გამო მოხდა მრავალი დაპატიმრებანი.

გაზ. „ალეფშას" ცნობით, ეგვიპტეში ბედუინებმა გადასწყვიტეს განაცხადონ პროტესტი ეგვიპტეს კონსტიტუციის წინააღმდეგ, რომელიც ეწინააღმდეგება მათ ზნე-ჩვეულებას. სერვეტ-ფაშამ განაცხადა, რომ ხალხი მოითხოვს სიკვდილის დასჯის გაუქმებას და პოლიტიკურ პატიმრების განთავისუფლებას, აგრეთვე პოლიტიკურ დევნილების სამშობლოში დაბრუნებას.

**რუსეთთან ხელშეკრულების შესახებ**

**მოსკოვი**. 12 აპრ. ლატვიის ფინანსთა მინისტრმა ბუშევიცმა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე აღნიშნა, რომ რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულების დადების საკითხში არის ზოგიერთი უთანხმოებანი. ფინანსთა სამინისტრო ცდილობს მოახერხოს ლატვიის ნაწარმოების რუსეთში უბაჟოთ შეზიდვა, აძლევს რა ასეთსავე უფლებას რუსეთს.

**ფაბრიკანტები ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების წინააღმდეგ.**

**მოსკოვი**. 12 აპრ. ფაბრიკანტების კავშირმა მოაწყო თათბირი ფაბრიკა-ქარხნების მუშათა კომიტეტების შემოღების პროექტის გამო მიტავის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ასეთი კომიტეტების შემოღების შემთხვევაში ისინი დახურავენ ფაბრიკებს. თათბირმა მიიღო რეზოლიუცია. რომლითაც დაუშვებლად სთვლის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კანონ-პროექტის ცხოვრებაში გატარებას. მუშები კი თავის მხრივ დაჟინებით მოითხოვენ ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების შემოღებას. პროფკავშირების კურლიანდიის ბიურომ და ლატვიის ფაბრიკის მუშების კავშირმა გამოიტანეს სასტიკი საპროტესტო რეზოლიუცია ფაბრიკანტების მიერ მიღებული დადგენილების წინააღმდეგ. მუშებმა გადასწყვიტეს წარმოადგინონ პირველ მაისს ლოზუნგი წარმოებაზე მუშების კონტროლის შესახებ.

**თომასი გაფიცვის წინააღმდეგია**

**მოსკოვი**. 12 აპრ. რკინისგზელთა მასიურ მიტინგზე თომასმა აღნიშნა, რომ მწარმოებელთა ლტოლვა შეამცირონ ხელფასი ქმნის აუტანელ ეკონომიურ მდგომარეობას, რომელიც იწვევს საერთო უკმაყოფილებას. თომასის განცხადებამ იმის შესახებ, რომ დელეგატების უკანასკნელმა კონფერენციამ გადასწყვიტა უარი სთქვას ყოველგვარ მოლაპარაკებაზე და გამოაცხადოს საერთო გაფიცვა, იმ შემთხვევაში თუ რკ. გზის კამპანიები მოითხოვენ ხელ-

# მოხსენება „სმენა ვეხიგზე"

**(წერილი მოსკოვიდან)**

(დასასრული *)

პოტეხინი 35 წლის ახალგაზრდა თუ იქნება, დღეს მსახურობს (როგორც თვითონ განაცხადა) უმაღლეს სამეურნეო საბჭოში, ხოლო ერთ დროს აქტიური თეთრგვარდიელი იყო, იგი თითქმის ყველაფერში ეთანხმება მეშჩერიაკოვს და აცხადებს, რომ მისი წარმოდგენა მრავალ საკითხებზე შერყეულია, მაგრამ ეს უფრო მის სკეპტიკ ინტელიგენტად გადაქცევას მოგვითხრობს, ვიდრე რაიმე დადებით შეხედულებამდის მის მიყვანას. ჩვენ და კომუნისტებს სამი რამ გვახასიათებს; ნაციონალიზმი, სახელმწიფოებრივობა და პატრიოტიზმი. ნაციონალურის თვალსაზრისით დასავლეთში რევოლიუციის გაძლიერება ხელსაყრელი და მისაღებია. კომინტერნი ამ მხრით თავის სიმაღლეზე სდგას და რუსეთის ინტერესთა სრული გამომსახველია. ჩვენთვის ეს ორგანიზაცია მისაღებია. მიმდინარე პოლიტიკის საკითხებში, როგორიც არის ბოლშევიკების ახალი ეკონომიური პოლიტიკა, ან საერთაშორისო პოლიტიკა რუსეთის დაცემული პრესტიჟის აღდგენისაკენ მიმართული, ჩვენთვის სრულიად მისაღებია: მხოლოდ მე კერძოდ არ ვარ დარწმუნებული, რომ ამ პოლიტიკის შედეგი იქნება კომუნიზმი: თუმცა არ იქნება ის, რაც აქამდის ე. ი. რევოლიუციამდის იყო. აქ პოტეხინი სიმხდალეს იჩენს და ეტყობა სავსებით გულწრფელი არ არის. მას შეკითხვას აძლევენ, თუ როგორ უყურებს ის რელიგიას: პოტეხინი უპასუხებს: მე რელიგია მრწამს და მასში რაღა თქმა უნდა მისტიური ელემენტები სჭარბობს, ხოლო დღეს საჭიროდ არ ვსცნობ მასზე შევჩერდე.

დასკვნებს მრავალ შეკითხვებზე და სიტყვებზე აკეთებენ პოლონსკი და მეშჩერიაკოვი. პირველის აზრით „სმენა ვეხელებს" ფსიხოლოგიურის თვალსაზრისით უნდა მიუდგეთ: რევოლიუციამ კოლჩაკის მინისტრებიც მოჰდრიკა. სულიერად დამარცხებულნი, ისინი გრძნობენ თავიანთ სისუსტეს და არარაობას; ამიტომ მოვიდენ თავის ქვეყანაში; ამიტომაც ისინი კომუნისტები არც არიან და არც იქნებიან. მაგრამ მათ უყვართ რუსეთი და ჩვენგან ვერც წავლენ სანამ რევოლიუციის ინტერესები რუსეთის ინტერესებიც იქნება. კამათიც ამით დასრულდა.

რად მოვიყვანეთ ასე დაწვრილებით კამათი „სმენა ვეხელებზე"?—რომ ჩვენც ვისწავლოთ ჭკუა რუსეთში არსებულ ანალოგიურ მოვლენებისგან. რუსეთის ბურჟუაზიულ-თეთრგვარდიელთა ინტელიგენციამ დაინახა, რომ რუსეთის და რუსის ხალხის საქმე რევოლიუციამ დადებითად გადასჭრა, რომ საბჭოთა მთავრობა იმავე დროს ნაციონალური მთავრობაც არის და ამიტომაც ისინი მას ურიგდებიან. ბოლშევიკების სოციალურ ეკონომიური პოლიტიკაც ერთგვარად არბილებს მათ ღვარძლს საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ და აკი „ვეხელებიც" პატრიოტიზმის გზით რევოლიუციის უკანა კარებში შემოდიან და ამბობენ: დასავლეთ ევროპის რევოლიუცია ნაციონალური თვალსაზრისით მისაღებია და იმავე დროს სასურველიცაო. თავი დავანებოთ იმის აღნიშვნას, თუ სად სცდებიან და როგორ ვერ აფასებენ „სმენა ვეხელები" საბჭოთა რუსეთის მეორე მხარეს—მისს ინტერნაციონალურს მნიშვნელობას მთელი მუშათა კლასისათვის. ნუ მივაქცევთ ყურადღებას იმ ზედმეტ გარდაფასებას „სმენა ვეხელების" როლისას საბჭოთა რუსეთისათვის, რომელიც გამოიჩინეს ამხ. მეშჩერიაკოვმა და ვიაჩესლავ-პოლონსკიმ. აღნიშვნის ღირსად მიგვაჩნია ის დიდი მნიშვნელობის გარემოება, რომელიც შევამჩნიე თვით კრებაზე. აუდიტორია მეტად ლმობიერად შეხვდა, „სმენა ვეხელების" წარმომადგენელს—პოტეხინს, საზოგადოთ დამშვიდებულად მოისმინა და დადებითად აღიარა ბურჟუაზიულ ინტელიგენციის საზღვარგარეთიდან დაბრუნების წინადადება. არ გვინდა მკითხველს ვებაასოთ იმ მეტად საინტერესო კითხვაზე ამ ჟამად, რომელიც მას ალბად დაებადება ამ კორესპონდენციის წაკითხვით: რით აიხსნება „სმენისტებისადმი" ეს ლმობიერი დამოკიდებულება; მუშათა კლასის რიგებში რევოლიუციის გრიგალის მიწყნარებით და ახალ ფსიხოლოგიურს გარდატეხაშია ამის ახსნა, თუ მისი რაციონალურ სილინჯესა და გარემოების გათვალისწინებაში?

მე მაინტერესებს უმთავრესად მიზეზი ჩვენი ინტელიგენციის საქციელისა და „სმენა ვეხების" პოლიტიკისა, მგონია რომ, ქართველი ინტელიგენციის შეურიგებლობა საბჭოთა წყობილებისადმი აიხსნება იმავე მოტივით, რითაც აიხსნება ეს შერიგება „სმენა ვეხელების"—ეროვნული საკითხის გადაჭრა-გადაუჭრელობით. მე მგონია მთელი ბრალის ქართველ ინტელიგენციაზე გადატანა და მისი სუბიექტიური ნაკლით ახსნა მისი პოლიტიკისა, იქნებოდა არა მარტო საკითხის მიფუჩეჩება, არამედ ეს იქნებოდა მიდგომილი მსჯელობა და ობიექტივობას მოკლებული ანალიზი. ჩვენი ინტელიგენცია ნაციონალისტურია ყოველ შემთხვევაში „სმენა ვეხელებთან" შედარებით ნაკლებად; თუ კონსტანტინეპოლზე მეოცნებე რუსის იმპერიალისტური ინტელიგენცია საბჭოთა რუსეთს ურიგდება, რა მიზეზია, რომ ასე აითვალისწუნა მუშათა და გლეხთა ძალა-უფლება რეალური მოსახლეობის პრინციპის დამცველმა მცირე მადის მქონე ჩვენმა ინტელიგენციამ? ეს საკითხი დასმისა და ჩაფიქრების ღირსია ჩვენი პრაქტიკი პოლიტიკოსებისათვის. შეიძლება ამ გარემოებაზე ყურადღების მიქცევამ აღმოაჩინოს ბევრი შეცდომანი ჩვენში ეროვნული პოლიტიკის გატარების დროს? შეიძლება უკანასკნელის ახსნითა და სათანადო გადაჭრით ჩვენ უფრო რადიკალურად და საბოლოვოდ გადავსჭრათ ჩვენი ინტელიგენციის დამოკიდებულების საკითხი საბჭოთა ძალაუფლებასთან?

ვიმეორებ, ჩვენი ინტელიგენცია მშრომელი ინტელიგენცია არის და ტანჯულ ლატაკთა წიაღიდან წარმოშობილი, ამიტომ მასთან საერთო ენის გამონახვა უფრო ადვილია, ვიდრე „ვეხისტებთან"? ამისათვის საჭიროა შევქმნათ ნიადაგი, რომ პატრიოტიზმის გზით ჩვენი ინტელიგენცია მოვიდეს საბჭოთა ძალა-უფლებასთან: ამისთვის კი საჭიროა უფრო კრიტიკულად მოპყრობა წარმოებულ პოლიტიკისადმი ეროვნულს საკითხში და მოვლენათა უფრო ობიექტიურად შეფასება ვიდრე ეს საბჭოთა ძალა-უფლების მესვეურთ ემჩნეოდათ დღემდის.

მოსკოველი.

20 თებერვალი.

1923 წელი.

*) „ტრიბუნა" № 440.

ფასის შემცირებას, გამოიწვია ხანგრძლივი ტაშის ცემა მიტინგზე მყოფ მუშების მხრივ. ეს არ მოეწონა ტომასს და მან შენიშნა: „მე არ ვიცი რა საჭიროა ეს ენტუზიაზმი პირადად ჩემში გაფიცვების პოლიტიკა არავითარ აღფრთოვანებას არ იწვევს."

**მოლაპარაკება სოფლის მუშებთან უშედეგოდ დამთავრდა**

**მოსკოვი.** 12 აპრ. ფერმერების და სასოფლო მეურნეობის მუშების კონფერენცია უშედეგოდ დასრულდა. სხდომის დასაწყისში ფერმერების ერთმა წარმომადგენელმა დემონსტრატიულად დასტოვა დარბაზი მუშათა კავშირის გადაწყვეტილების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომელი გადაწყვეტილებაც მოითხოვდა ფერმებიდან საქონლის მკვებავ მუშების გამოძახებას. მუშათა კავშირის წარმომადგენელმა განაცხადა: თუმცა მუშებს უყვართ რქიანი საქონელი მაგრამ ცოლშვილი უფრო ძვირფასია მათთვის თუ ფერმები ზრუნავენ თავიანთ საქონელზე დეე მისგან მუშებს ხელფასის მინიმუმი მაინც.

**ინგლისის რკ. გზების შემოსავალი**

**მოსკოვი.** 12 აპრ. ინგლისის რკინის გზების შემოსავალი 22 წელში აღემატებოდა გასავალს 48 მილ. გირ. სტერლინგით.

**ირლანდიის სამოქალაქო ომის მსხვერპლი**

**მოსკოვი.** 12 აპრ. ლონდონიდან მიღებულ ცნობის თანახმად. მარტის განმავლობაში ირლანდიაში მოკლულია 135 კაცი, და დაჭრილია 80. დანგრეულა ამ ხნის განმავლობაში სამოცდა შვიდი შენობაზე მეტი.

**მუშებს გაჰყავთ კომუნისტები**

**მოსკოვი.** 12 აპრ. პრაგაში საქარხნო კომიტეტების არჩევნების დროს მეტუალურგიის 25 დიდი ქარხნის მუშებმა გაიყვანეს 93 კომუნისტი, 45 ს.-დემოკრატი და 35 ნაციონალისტი.

**იაპონიის მუშები მოითხოვენ საბჭოთა რუსეთის ცნობას.**

**მოსკოვი.** 12 აპრ. იაპონიის შრომის ფედერაცია 1 მაისის დემონსტრაციებისათვის ამზადებს ლოზუნგებს 8 საათის სამუშაო დღის უმუშევრობასთან ბრძოლის მოგებაში მუშების მონაწილეობის და საბჭოთა რუსეთის ცნობის მოთხოვნის შესახებ.

**საბჭოთა რუსეთი არის წევრი საერთაშორისო რკ. გზელთა კავშირის**

**მოსკოვი.** 12 აპრ. გაზ. ჟურ. „ინდუსტრიადი" იტყობინება, რომ საერთაშორისო რკ. გზელთა კავშირმა ერთხმად მიიღო რეზოლიუცია საბჭოთა რუსეთის კავშირის წევრად მიღების შესახებ.

**სიკვდილი მკვლელ პუანკარეს**

**მოსკოვი** 12 აპრ. პარიზიდან მიღებულ ცნობის თანახმად 5 აპრილს, პუანკარეს მიერ ომის გამოფენის დათვალიერების დროს ერთმა უცნობმა ქალმა ასტეხა ყვირილი „სიკვდილი მკვლელ პუანკარესო" ქალი დააპატიმრეს.

**შეთანხმებულნი წინააღმდეგნი არიან ერთიანი ფრონტის**

**მოსკოვი.** 12 აპრ. საფრანგეთის შეთანხმებულებმა უარყვეს უნიტარულ კონფედერაციის წინადადება ერთიან ფრონტის შესახებ და უარი სთქვეს დაემორჩილონ ფრანკფურტის კონფერენციის დადგენილებას.

**ესეც „ფედერაცია"**

**ბერლინი** 12 აპრ. „დჟორნალ დ-იტალიას" ცნობით სამხრეთ-სლავიის მთავრობას განზრახული აქვს გადასინჯოს სახელმწიფოს კონსტიტუცია და შექმნას ფედერაცია 4 ავტონომიურ ნაწილისაგან—სერბია, ჩერნოგორია, კროატია და ჩეხო-სლოვაკია.

**შეღავათები ბოლგარიას**

**ბერლინი.** 12 აპრ. „ნეიეს ვინეს ჟურნალის" ცნობით საკონტრიბუციო კომისიამ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლის თანახმად შემცირებულ უნდა იქნას ბოლგარიაზე დაწესებულ კონტრიბუცია 500 მილ. ოქროს ფრანკამდე პირველ 5 წლის განმავლობაში ბოლგარიამ უნდა გადაიხადოს მხოლოდ 5 მილ. დანარჩენი ჯამი კი გადახდილ უნდა იქნას 40 წ. განმავლობაში.

**ირლანდიის ამბები**

**პარიზი.** 12 აპრ. დუბლინიდან იტყობინებიან რომ მთავრობის ჯარებმა ხელახლად დაამარცხეს ირლანდიის აჯანყებულები. დე ვალერამ და სხვა ხელმძღვანელებმა მოასწრეს გაქცევა. ოფიციალურად იტყობინებიან, რომ ამ შემთხვევის დროსაც კი ვერ მოახერხეს მათი ხელში ჩაგდება.

**ინციდენტი ინგლისის თემთა პალატაში**

**ლონდონი.** 12 აპრ. გამოვიდა რა პალატაში მთავრობის დამარცხების გამო, ბონარ-ლოუს მოადგილემ ბალდვინმა განაცხადა, რომ მისი აზრით ეს დამარცხება არ წარმოადგენს უნდობლობის გამოცხადებას მთავრობისადმი. ოპოზიციის წევრებმა ხელახლად გაილაშქრებენ, მთავრობის მიერ შეტანილი წინადადებების წინააღმდეგ. ამასთანავე გამოსვლების სისასტიკის გამო თავმჯდომარემ წაართვა მათ სიტყვის უფლება, სიტყვის წართმევის საპასუხოთ მუშათა პარტიის წევრები გამოვიდნენ სასტიკი პროტესტით. მოხდა აურ-ზაური, რის გამო სხდომა შეწყვეტილ იქმნა და გადაიდო მეორე დღისათვის.

**ინგლისის კაბინეტის კრიზისის შესაძლებლობა**

**რომი.** 12 აპრ. თემთა პალატაში კენჭის ყრის გამო, რომლის შედეგათ ბონარ-ლოუს მთავრობას გამოეცხადა უნდობლობა საკითხში ყოფილ სამხედრო მოსამსახურეების სამოქალაქო სამსახურში მიღების შესახებ, ფიქრობენ, რომ მოსალოდნელია კაბინეტის კრიზისი.

**მეზღვაურთა გაფიცვა**

**რომი.** 12 აპრ. ატლანტიის გემი „ფრანსი", რომელიც მზად იყო ნავთსადგურ გავრიდან გასასვლელად, იძულებული შეიქნა შეჩერებულიყო გემის მეზღვაურთა გაფიცვის გამო.

**ბრიტანეთის სავაჭრო წარმომადგენელს არ შეუძლია მიიღოს ნოტა**

**მოსკოვი.** 11 აპრ. ბრიტანეთის სავაჭრო წარმომადგენელმა მოსკოვში აცნობა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის ერთ-ერთ ქვე-განყოფილების გამგეს ვაინშტეინს, რომ მას არ შეუძლია მიიღოს ნოტა ინგლისის მთავრობის ცეპლიაკის საქმეში ჩარევის შესახებ, ინგლისი არ უარყოფს რუსეთის ტერიტორიაზე რუსეთის მთავრობის იურისდიქციის კანონიერებას, მაგრამ მას არ შეუძლია მხედველობაში მიიღოს საფრანგეთში მყოფ რომელიღაც პირის განცხადება რომელსაც გარეშე საქ. სახ. კომ. ნოტა ირლანდის წარმომადგენელს უწოდებს ბრიტანეთის მთავრობის მიერ ჩადენილ პოლიტიკურ ტუსაღების მკვლელობის შესახებ. ვაინშტეინმა საპასუხო ნოტაში მწუხარება გამოსთქვა ნოტის მიუღებლობის გამო და განაცხადა, რომ კომისარიატს იმედი აქვს, რომ ბრიტანეთის მთავრობამ უკვე გაიგო ნოტის შინაარსი და მომავალში თავს შეიკავებს საბჭოთა რესპუბლიკების საქმეში ჩარევის ცდისაგან.

# ახალი ამბები

— **სამეცნიერო კრებული „ჩვენი მეცნიერება".** ერთდროული სამეცნიერო კრებული „ჩვენი მეცნიერება-ს" გამომცემლობა აარსებს პერიოდულ გამოცემას იმავე სახელწოდებით. კრებული შეიცავს შემდეგ დარგებს, რომელთაც ხელმძღვანელობენ შემდეგი პირები:

1. პროფ. შ. ნუცუბისე—ფილოსოფია და საზოგადოებრივი მეცნიერება.
2. პროფ. დ. უზნაძე—ფსიქოლოგია და პედაგოგიკა.
3. პროფ. ან. რაზმაძე—სამატემატიკო დარგები.
4. პროფ. პეტრე მელიქიშვილი—ქიმია, ფიზიკა, მინერალოგია და გეოლოგია.
5. პროფ. ივ. ბერიტაშვილი—ბიოლოგიური საგნები.
6. პროფ. გ. ახვლედიანი—ენათმეცნიერება.
7. პროფ. კ. კეკელიძე—მწერლობა.
8. დოცენტი გრ. ნათაძე—ისტორია.
9. პროფ. სიმონ გოგიტიძე—სამკურნალო მეცნიერება.

კრებულს დართული ექნება სამეცნიერო ქრონიკა და სამეცნიერო ტერმინოლოგია. გამომცემლობას ხელმძღვანელობს ან. შილაკაძე. მორიგი ნომერი გამოვა მაისის დამლევს. მასალები მიიღება ტფ. 1 ტე ნიკუმის შენობაში, გუნიბის ქ. № 46. პროფესორ გიორგი ახვლედიანის სახელზე.

— დღეს აპრილის 13, ხელოვანთა სასახლეში (სერგეევის ქ. № 13) ტფ. სახელმწ. უნივერ. ლექტორი ელ. ჯამბაკურ-ორბელიანისა წაიკითხავს ლექციას ფრანგულ ენაზე: ქართული ლეგენდები და ზღაპრები. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

— **სოციალური დახმარების კომისარიატის განახლებისთვის.** განყოფილება აწარმოებს საორგანიზაციო მუშაობას სოციალურ დახმარების კომისარიატის განახლებისთვის.

— **განათლების მუშაკთა სახლის გახსნა ქუთაისში.** ქუთაისში გაიხსნა განათლების მუშაკთა სახლი, რომლის მიზანია აწარმოვოს მუშაობა განათლების მუშაკთა გონებრივ ამაღლებისათვის. განათლების კომისარიატმა ქუთაისის განათლ. განყოფილებას გაუგზავნა მისალოცი დეპეშა, რომლითაც ულოცავს სახლის გახსნას და აღუთქვამს ყოველთვიურ დახმარებას. ამ ჟამად კომისარიატმა გაუგზავნა სახლს 100 მილიონი მანეთი დახმარების სახით.

— **ამხ. ლენინის სახელობის პოლიტ. ინსტიტუტი.** ვინაიდან ამხ. ლენინის სახელობის პოლიტ. ინსტიტუტთან არსდება საექსპლოატაციო—სატრანსპორტო პუნქტი. განათლების კომისარიატმა წინადადება მისცა მუშათა ფაკულტეტის სექტორის გამგეს მოიწვიოს პოლიტინსტიტუტის და რკინის გზის წარმომადგენელთაგან საგანგებო კომისია ამ საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად. კომისიის წევრებად ინიშნება პროფესორები; მიკულინი, ბაზოვი და ოლევსკი. თავმჯდომარეთ ამხ. ბირიუკოვი. კომისიის მუშაობის შედეგი უნდა დაამტკიცოს გან. კომისარიატმა.

— **ქალაქის აღმასკომში წყალსადენის დირექტორის დანიშვნა.** აღმასკომის მცირე პრეზიდიუმის დადგენილებით წყალსადენის დირექტორის მოადგილეთ დაინიშნა ამხ. ტივიშვილი.

— **ცენტრ. საბინაო—საამშენებლო ამხანაგობა.** აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა ცენტ. საბინაო—საამშენებლო ამხანაგობას (ცენტროსტროის) მუშათა სახლების ასაგებათ დაწყებულ მუშაობის გასავრცელებლათ ეძლიოს კვირაში 100 მილიონი მანეთი.

— **ახალი ნიხრი ქალაქის აბანოებში.** პრეზიდიუმმა დაადგინა 10 აპრილიდან ქალაქის აბანოებში დაწესდეს შემდეგი ნიხრი ოქროს მანეთის კურსით: 1) გოგირდის აბანოებში—ნომერი საათში 50—60 კაპ. საერთო—15 კაპ. 2) ორთქლის აბანოებში—ნომერი საათში 75 კაპ. საერთო—20 კაპ.

— **წვრილი ფულის ნიშნები.** აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა ა. კ ფინანსთა სახ. კომისარიატის წინაშე, გამოშვებული იქმნეს საკმაო რაოდენობა ა. კ. ახალი წვრილი ფულის ნიშნებისა, რათა ტრამვაის ნორმალური მოძრაობა არ იქნეს შეფერხებული ამ მხრივ.

— **საბჭოთა სამართლის მაუწყებელი** გამოვიდა პირველი ნომერი იუსტიციის სახ. კომისარიატის ორგანო „საბჭოთა სამართლის მაუწყებელი" № 1 ქართულ და რუსულ ენაზე, ჟურნალში მოთავსებულია სხვა და სხვა სპეციალური განყოფილებები.

— **ამიერ—კავკასიის სახალხო სასურსათო კომისარიატის ბიულეტენი.** გამოვიდა მორიგი ნომერი ჟურნალისა „ამიერ-კავკასიის სახალხო სასურსათო კომისარიატის საქართველოს რწმუნებულის საქართველოს ბიულეტენი" № 21.

— **ა. კ. შრომის კომისარიატში სახელმწიფო დახმარების განყოფილება.** მარტის თვის განმავლობაში სახელმწიფო დახმარების განყოფილებამ დაუნიშნა პენსია 19 კაცს (თვიურად). დახმარებიდან მოხსნა—8 კაცი. ძველ პენსიონერთა შორის დატოვებულ იქმა (პენსიაზე)—2. 1 აპრილისთვის დახმარებაზე იყვნენ; ტფილისში—305 კაცი, ქუთაისში—24, ახალციხეში—3, ოზურგეთში—6, თელავში—4, შორაპანში—2, სიღნაღში—1. და ლეჩხუმში—2.

— **შეღავათი.** ამავე თვის განმავლობაში სანიტარულ ბეგრის და ბინის ქირის გადასახადისაგან შეღავათი მიეცა—79 კაცს.

— **სამოქალაქო გადასახადი.** სამოქალაქო გადასახადისაგან განთავისუფლდა—10, ერთდროული დახმარება მიეცა—3.

— **საქონლის მომშენებელი ქვეგანყოფილება.** მიწად-მოქმ. სახ. კომისარიატის საქონლის მომშენებელ ქვე-განყოფილებას აქვს ორი ფერმა ოთხფეხ პირუტყვის მოსაშენებლად, ორივე ფერმაში ითვლება 280 სული საუკეთესო ჯიშის ძროხა, ფერმა ამზადებს მაღალი ხარისხის შემდეგ პროდუქტებს: რძეს, ყველს, ერბოს და სხ.

— **ჯანმრთელობის კომისარიატში.** ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დაზღვეულთა საექიმო დახმარების ქვე-განყოფილების ცენტრალური ამბულატორიის მუშაობის განტვირთვის მიზნით, 10 აპრილიდან კომისარიატების შენობაში გახსნილი იქნება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დაზღვეულთათვის სამკურნალო დახმარების ქვე-განყოფილების მე 6-ე რაიონული ამბულატორია. შესავალი კადეტის შესახვევიდან. ავადმყოფების (შინაგანი და ქირურგიული) მიღება სწარმოებს დილის 9-დან 11 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე.

— **საბინაო ქირის ახალი ტარიფი.** შინაგან საქმეთა კომისარიატთან შესდგა სპეც. კომისია შინაგან საქმეთა კომისარიატის, იუსტ. სახალხო კომისარიატის, ქალაქის აღმასკომის და პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენლებისაგან [illegible] ახალ ტარიფის გამოსამუშავებლად.

— **სახალხო მამულებში** [illegible] მოქმედების კომისარიატის სახელმწიფო მამულების მართველობის განყოფილებამ მიიღო მუხუზანის, საგურამოს, ზეთაზნას და სადახლოს სახალხო მამულებში მარტის განმავლობაში წარმოებულ მუშაობის ანგარიშები. განყოფილების აზრით ამ მამულებში მუშაობა საანგარიშო თვეში ფრიად დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. მუშაობას აწარმოებდენ, როგორც მამულის მუდმივი, ისე დღიურად დაქირავებულნი მუშები. მამულების ადმინისტრაცია საჭირო თანხების უქონლობის გამო, ხშირად იძულებული იყო მუშებისთვის ხელფასი ნატურით—პურით, სიმინდით, ნავთით, მარილით—მიეცა.

— **საქონლის ჭირი.** მიწად-მოქმედების საბეითლო განყოფილების მიერ მიღებულ ზომებით ჭირი მოსპობილ იქნა დასავლეთ საქართველოს 8 რაიონში, რის დროსაც აუცრეს 487 სულ საქონელს. აცრის შემდეგ დაიხოცა მხოლოდ 2 პროცენტი.

— **დახმარება.** ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭომ თურქული თეატრის 50 წლის არსებობის იუბილეს აღსანიშნავად ხსენებულ თეატრს აღმოუჩინა დახმარება 300 მილ. მანეთი.

— **საქსოვი ქარხანა ქუთაისში.** ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭომ საქ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს შეღავათიან პირობებში მისცა სესხად 85,000 მანეთი ოქროთი ქუთაისში საქსოვი ქარხნის ასამუშავებლად.

— **პროკურორების დანიშვნა.** 1) ქართულ დივიზიის სამხედრო ტრიბუნალის პროკურორად დანიშნულია შალვა სპირიდონის ძე მათიკაშვილი, 2) დასავლეთ საქართველოს პროკურორათ—ურუშაძე ამბერკი, 3) იუსტიციის სახალხო კომისარიატთან არსებულ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების გამგეთ—ლევან არტემის ძე სლიანოვი, 4) აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორის თანაშემწედ—ალექსანდრე ივანეს ძე პოლტორაცკი.

— **ციებასთან ბრძოლა.** რკინის გზათა მთავარ სამმართველომ დაადგინა მორწყოს ნავთით ის ჭაობიანი ადგილები, სადაც რკინის გზის მუშებს უხდებათ მუშაობა და ავადმყოფდებიან ციებით. ასეთი ზომები მიღებულ იქნება დაუყოვნებლივ.

— **ტყეების აღწერა და გამორკვევა.** მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის სატყეო განყოფილებამ დაადგინა აღწეროს და გამოარკვიოს სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეები და გამიჯნოს ასეთი ტყეების საზღვრები. სათანადო მუშაობა უკვე დაწყებულია და დასრულდება ნოემბრის პირველ რიცხვებში.

— **სატყეო რაიონები.** სატყეო განყოფილებამ დაადგინა გაიყოს საქართველოს სატყეოები ოთხ რაიონათ—თითო რაიონს სათავეში ედგომება საგანგებო სპეციალისტი.

# მუშათა ცხოვრება

**საურთიერთო დახმარების კასის წესდების მერვე მუხლის გაუქმება.**

პრეზიდიუმმა ამავე სხდომაზე გააუქმა საურთიერთო დახმარების კასსის წესდების მერვე მუხლის შენიშვნა. ეს დადგენილება ეცნობა ყველა კავშირებს და მის განყოფილებებს.

**გაზ. „ტრუდი".** პრეზიდიუმმა დაადგინა წინადადება მისცეს ყველა კავშირის განყოფილებებს გამოიწერონ განსაზღვრული რიცხვი გაზ. „ტრუდი"-სა. ორგანიზაციულ განყოფილებას მიენდოს თვალყურის დევნება ამ დადგენილების სისრულეში მოყვანაზე.

**პროფკავშირებში.**

**ინჟინერთა ცენტრალური ბიურო.** საქართველოს პროფკავშირის პრეზიდიუმის დადგენილებით დაარსდა ინჟინერთა ცენტრალური ბიურო.

**ალმშენებლობითი კავშირის გაერთიანებული საქალაქო ყრილობა.**

ალმშენებელი კავშირის ცენტრალური გამგეობის დადგენილებით 22 აპრილს მოწვეულია ალმშენებლობითი კავშირის წევრთა გაერთიანებული საქალაქო ყრილობა.

**საქართველოს სამთამადნო კავშირში.**

**„ჩემოს" ადგილობრივი კომიტეტი.** სამთამადნო კავშირის პრეზიდიუმა მოისმინა ამხ. ცირეკიძის მოხსენება „ჩემოს" ადგილობრივი კომიტეტის მოქმედების შესახებ. მომხსენებელი უარყოფით შეეხო კომიტეტის მუშაობას და წინადადება მისცა პრეზიდიუმს შეაერთოს ერთ საერთო კომიტეტში „ჩემოს", შავი ქვის ფირმა „კარუტოს", „შავი ქვის მრეწველთა საბჭოს" და ტფილისის კანტორის მოსამსახურენი. აგრეთვე ადგილობრივი კომიტეტის ერთი წევრი სრულიად გაანთავისუფლონ სამსახურის მუშაობისაგან კავშირის საქმეების გამო.

პრეზიდიუმმა დაადგინა მოიწვიოს აღნიშნულ დაწესებულებათა მოსამსახურეების საერთო კრება, სადაც გატარებულ იქმნება ამხ. ცირეკიძის პროექტი, რომელიც პრეზიდიუმმა პრინციპიალურად მიიღო.

# პროვინციაში

**სამტრედია. ფულის გადახურდავება.** აპრილის 5 და 6-ს ქართული ფულის ნიშნები თითქმის სულ გადაცვლილი იყო ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებზე.

**ანტირელიგიური** კამპანია სამტრედიის რაიონში ინტენსიურად მიმდინარეობს, დახურულ იქმნა თითქმის ყველა ეკლესიები.

აპრილის 9-ს გაიმართა ანტირელიგიური საპროპაგანდო დღე. რელიგიის ისტორიის და ფილოსოფიის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა პედაგოგმა ს. ლორთქიფანიძემ.

**სიძვირე.** ფულის ნიშნების შეცვლის დღეებში ბაზარზე არაჩვეულებრივი სიძვირე ჩამოვარდა.

**პარტახტიანი ტიფი** თან და თან კლებულობს.

**მეაბრეშუმეობა.** სამტრედიის რაიონში უკანასკნელ დროს დაიწყეს აბრეშუმის თესლის მეაბრეშუმეთადმი უფასოდ დარიგება.

**წარმოდგენები.** აპრილის 9-ს აქაურ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილ იქმნა რევოლიუციონური პიესა: „უკანასკნელი დღე პარიზის კომუნისა".

**ამინდი** ისევ მეტად ცუდია; მთებზე ისევ თოვლი დევს და წვიმს გადაუღებლივ.

**მასწავლებელთა ჯამაგირები და სურსათი.** სამტრედიის რაიონის სასწავლებლების მასწავლებელთ აქამომდე არ მიუღიათ მარტის თვის ჯამაგირი და უკანასკნელ სამი თვის სურსათი.

—

**ჟურნალ-გაზეთები.** ამ ჟამად სამტრედიის სადგურზე გასასყიდად მოდის შემდეგი ჟურნალ-გაზეთები: „ტრიბუნა", „კომუნისტი", „მუშა", „რაბ.

პრავდა“, „ლომისი“, „რუბიკონი“ და „ასპირო-ზი“.

**ლოთობის წინააღმდეგ.** სამტრედიის აღმას-კომმა გამოსცა დადგენილება ყიმთვრალის წინა-აღმდეგ.

**რელიგიურ ქელეხების წინააღმდეგ.** აღმას-კომის დადგენილებით ყველა ის მოქალაქენი, რო-მელნიც ძველი წესით შეხვდებიან აღდგომას და გა-მართავენ ქელეხებს დაჯარიმებულ იქმნებიან 5,000,000 მანეთით.

ლი. მოხსენების შემდეგ კრება შეუდგა კომიტეტის არჩევას, რომლის წევრებად არჩეულ იქმნენ ერთ-ხმად: მიშა მეტრეველი, 2) ნინო წულუკიძე, 3) შა-ლიკო სვანიძე, ამავე კრებაზე არჩეულ იქმნა სარე-ვიზიო კომისია შემდეგი შემადგენლობით: 1) გიორ-გი კიკნაძე, 2) ნიკოლოზ მეტრეველი და 3) ივლიან სებისკვერაძე. არჩევნების შემდეგ კრებამ გამოიმუ-შავა საერთო გეგმა კრების მუშაობისა. შემდეგ სრულ 2 საათზე კრება დაიხურა.

## სალამი შორეულ ძმებს

ბევრი ცრემლი დავღვარე მაშინ, როდესაც წავიკითხე ლადო აღნიაშვილის შედგენილ წიგნში ფერეიდანელ ქართველების ყოფა-მდგომარეობა. ლადოს მაშინ ყოვლად შემძლე დიდ ადამიანათ ვსახავდით. მხოლოდ მან ერთმა შესძლო აქნამდი მოღწევა და აქაური ყოფა-მდგომარეობის შესწავ-ლა. პირველად ლადომ გააბა ფერეიდანელ ქართ-ველებსა და ჩვენს შორის შემაერთებელი ძაფი. განვლო დრომ და ჩვენს ქვეყანას ესტუმრენ ფერეი-დანიდან ორი ქართველი, ონიკაშვილი და ხუცი-შვილი, იგინიც იმ განზრახვით გვეწვიენ, რომ უფ-რო მჭიდრო კავშირი შეექმნათ ჩვენს შორის.

მაშინდელი ნიკოლოზის მთავრობას აბა რაში ეპრიანებოდა ასეთი კავშირი, როდესაც ჩვენც დე-და ენას გვისპობდენ და გადარუსებისაკენ მივჰყავ-დით. არ მოხდა ის, რაც გვინდოდა. დღეს კი თა-ვისუფალი საქართველოა. მოვიშორეთ თავიდან სა-შინელი რეჟიმი თვითმპყრობელობისა. ამჟამად კარ-გი დროა და დღეს შეიძლება გავაკეთოთ ის, რი-სიც გაკეთება ვერ შევსძელით მაშინ, როდესაც სა-შინელი თვით-მპყრობელობა მძიმე ლოდივით გვაწ-ვა თავზე. სულით და გულით ვუერთდებით სეიფო-ლას კეთილ განზრახვას. როდესაც მისი სურათი ვაჩვენე გაზ. „ტრიბუნა“-ში დასტამბული რაჭველ მეზობლებს, ბევრმა ცრემლი აფრქვია და ისურვეს ძმური კავშირი და დაახლოვება ფერეიდანელ ქართ-ველებთან. საბჭოთა მთავრობა, რომელიც ბუნებრი-ვი მოსარჩლეა ყველა დაჩაგრულისა. იმედია დიდ დახმარებას გაუწევს გადახვეწილ მოძმეებს. სალამი სეფოლა ხანს, სალამი საქართველოს ნაწილს ფე-რეიდანში.

ვანო ჰიჭინაძე.

ს. წერო, (რაჭა).

## მცირე შენიშვნა

როგორც ვიცით ამ ჟამად საქართველოში ეკლესია—საყდრების ლიკვიდაცია სწარმოებს.

ამ ლიკვიდაციის დროს ერთი რამ არის აუცი-ლებლად ყურადსაღები და სახელმძღვანელოდ მისა-ღები, სახელდობრ მოვლა და დაცვა იმ ისტორიულ საგანძურისა, რომელიც ეკლესიის კედლებში იყო მოქცეული.

ცნობილია, რომ ჩვენ წინაპრებს ეკლესია კულტურის ცენტრებად და ზნეობის სალაროებად ჰქონდათ მიჩნეული.

თავისთავად ცხადია, რომ ეკლესია-საყდრებში ბლომად უნდა იყოს დაშთენილი სხვა და სხვა ისტორიული ღირებულების ნივთები და ხელთ-ნაწერები.

პროვინციებში ეკლესიების ლიკვიდაციის დროს ამ მხარეს სამწუხაროდ სრულიად არ ექცევა ყურადღება, ხშირად ეკლესიის ქონება ქუჩაშია გა-დაყრილი, რაც დაუშვებელი და შეუწყნარებელია. ჩვენის აზრით—ეკლესიაში დაშთენილი ისტორიულ მნიშვნელობის ნივთ-საბუთები შესაფერ ნუსხის ქვეშ უნდა გადაეცეს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას.

ზოგ ეკლესიებში მოიპოება მეტად დამახასია-თებელი წერილები და დოკუმენტების ასლები, ყვე-ლა ესენი თქმა არ უნდა დასჭირდება საქართვე-ლოს ისტორიულ მეცნიერებას. მით უმეტეს რომ ჩვენი ისტორია ზოგ საუკუნოებში მხოლოდ და მხოლოდ საეკლესიო ისტორია იყო.

არ—დი.

## ეკონომიური ცხოვრება

### უცხოეთი.

**ამერიკის ნავთის მრეწველობა.** შეერთებული შტატების ნავთის მრეწველობაში მოთავსებული არის 8 მილიარდი დოლლარის კაპიტალი; აქედან 40 პროცენტი ეკუთვნის სტანდარდ-ოილის ჯგუფის სამრეწველოებს, ხოლო 60 პროცენტი დამოუკიდე-ბელ საზოგადოებათ. მიუხედავათ ამისა სტანდარდ-ოილმა შესძლო გაბატონებული მდგომარეობის შე-ნარჩუნება, უმთავრესად, ორგანიზაციისა და კონტ-როლის მხრით, ნავთის სპეციალურ გადასაზიდ გე-ბებში ჩასხმის საქმეში. სტანდარდ-ოილ კამპანია თვით აწარმოებს 25 პროცენტს, მაგრამ სწმენდს 45 პროცენტს მთელ მიღებულ ნავთისას. ამას გარ-და ის კონტროლს უკეთებს 55 პროცენტს ნავთის წარმოებისათვის საჭირო ყველა მოწყობილობათ შინაური მასალებისათვის და 75 პროცენტს საგა-რეო მასალებისას. ამას გარდა კომპანიას ეკუთვნის 60 პროცენტზე მეტი ყველა მილებისა, რომლები-თაც ნავთი ცისტერნში იგზავნება და სხ.

დამოკიდებულება სტანდარდ-ოილისა და და-მოუკიდებელ საზოგადოებების ნათლად სჩანს ორი-ვე ჯგუფის დაუმუშავებელი ნავთის მარაგის და ნავთის პროდუქტების დაპირისპირებაში 1922 წლის 1 ივნისისათვის; სტანდარდ-ოილის მარაგი დაუმუ-შავებელ ნავთში შესდგებოდა 164.669.091 (58,5 პროცენტი) ბარელსიდან (ბარელსი უდრის 42 გა-ლონს; გალონი უდრის 4 ნახევარ ლიტრას); და-მოუკიდებელ საზოგადოებათა მარაგი კი 115.856.909 ბარელისიდან. დამუშავებულ ნავთიდან ეკუთვნო-დათ (გალლონებში):

| | სტანდარდ-ოილს | დამოუკიდ. ორგადებათ. |
|---|---|---|
| ბაზოლინი . . | 648.266.104 (75,7 პ.) | 208 340.254. |
| კეროსინი . . | 229.551.104 (72, პ.) | 89.359.027. |
| გაზი და სათფობი ზეთი . | 736.563.788 (55,7 პ.) | 584.864 184. |

კავშირი ავტომობილიზმის განვითარებისა და ნავთის მრეწველობის შეერთებულ შტატებში ნათ-ლად სჩანს შემდეგი ციფრებიდან:

| | ავტომობილების რიცხვი | პროდუქცია გაზოლინისა (გალლონებში) | ნავთის ხარჯი (ბარელსებში) |
|---|---|---|---|
| 1913 | 1.253.875 | 1.099.350.000 | 248.381.744. |
| 1918 | 6.146.617 | 3.570.312.963 | 355.927.716. |
| 1919 | 7.500 000 | 3.957.859.097 | 377.719.000. |
| 1920 | 9.211.295 | 4.882.546.649 | 443.402.000. |
| 1921 | 10.448.632 | 5.153.549.318 | 469.639.000. |
| ათ თვეში 1922 | 12.000.000 | 5.050.084.015 | 443.484.000. |

ავტომობილების ზრდა 9 წლის გახმავლობაში 1913—1922 წლამდი გამოიხატება 857 პროცენტ-ში, იმ დროს როდესაც ნავთის პროდუქტების ზრდა მხოლოდ 368 პროც. გაიზარდა, ხოლო დაუმუშავე-ბული ნავთის კი 89 პროც.

ეს ცვალებადობა მოხმარებისა და შინაგანი წარმოების დამოკიდებულებისა საჭიროთ ხდის შე-მოტანის გადიდებას გარედან. თუ როგორ იზრდე-ბოდა შემოტანა მოხმარებასა და შინაურ წარმოე-ბასთან დაკავშირებით,—ნათლად სჩანს შემდეგი ციფრებიდან (ბარელსებში).

| | შინაური მოხმარება | შინაური წარმოება | შემოტანა. |
|---|---|---|---|
| 1916 | 318.588.000 | 300.767.158 | 20.568.000 |
| 1917 | 377.756.000 | 335,315.601 | 30.168.000 |
| 1918 | 413.076.000 | 355.927.716 | 37.728.000 |
| 1919 | 418.476.000 | 377.719.000 | 52.812.000 |
| 1920 | 524.016 000 | 443.402 000 | 108.792.000 |
| 1921 | 525.407.000 | 469.639.000 | 125.307.000 |
| ათ თვეში 1922 | 375.877.000 | 453.484.000 | 109.197.000 |

მიმდინარე წლის დასაწყისში შინაური წარ-მოება აღემატებოდა მოხმარებას საშუალოდ ყოველ-დღიურათ 66 მილ. ბარელლსით; ეს ნაწილობრივ აიხსნება ახალ ნავთიან ადგილების აღმოჩენით კალიფორნიაში, სადაც ყოველდღიური ამოღება ნავ-თისა მიმდინარე წლის დასაწყისში აღემატებოდა 1922 წლის ყოველდღიურ ამოღებას 125.000 ბარ-ელლსით.

## პარტიაში

— კვირას, აპრილის 15, დილის 12 ს. და-ნიშნულია **მთავარ კომიტეტის** სხდომა „ტრიბუნის“ რედაქციაში. წევრები უნდა გამოცხადდენ სწორედ 12 საათ.

**დ. ხარაგოული.** პარასკევს ამა წელს აპრი-ლის 6-ს, დილის 11 საათზე დაბა ხარაგოულში შესდგა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის წევრთა კრება, ხსენებულ დაბაში პარტიის სარაიონო კომიტეტის დასაარ-სებლად. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ამხ. ავქსენტი ლურსმანაშვილი, მდივნათ—შალიკო სვა-ნიძე. მოხსენება გააკეთა ამხ. ლურსმანაშვილმა, რო-მელმაც გააცნო რა კრებას ამ პარტიის პოლიტი-კური გეზი უსურვა კრებას მომავალში თავდადე-ბული მუშაობა პარტიის და მშრომელთა მასსის სა-კეთილდღეოთ. კრება ოვაციებით მიეგება მოხსე-ნებას, რის შემდეგ შემოვიდა მრავალი შეკითხვები სხვა და სხვა საკითხებზე, რომელზედაც მომხსენებ-ლისგან დამაკმაყოფილებელი პასუხი იქნა მიცემუ-

## სხვა და სხვა

— **ინგლისის საჰაერო ფლოტი.** ინგლისის საჰაერო ფლოტის მინისტრის ცნობით 1918 წელს ინგლისის საჰაერო ფლოტი შესდგებოდა 30 ათას ოფიცრისა და 253 ათას ჯარისკაცისაგან; ფლოტ-ში მაშინ 3300 ჰაეროპლანი იყო. ამ ჟამათ კი არის 351 აპარატი პირველი რიგისა, 3000 ოფიცერი და 27 ათასი ჯარისკაცი.

— **ინგლისის თემთა პალატაში.** ამ დღეებში ინგლისის თემთა პალატაში მხიარული სცენა გათა-მაშდა. თავისი წინადადების დასაცავად ლედი ას-ტორმა, რომელიც პოპულიარული დეპუტატი ქალია, დიდი სიტყვა წარმოსთქვა, რათა მაგარი სასმელე-ბის გაყიდვა უსრულწლოვანებზე აკრძალული ყო-ფილიყო. ლედი ასტორის სიტყვას მეტად ყურად-ღებით ისმენდნენ თემთა პალატის ჯენტლმენები, რადგან ის მეტად კარგად და მოსწრებულად ლა-პარაკობს. თავის სიტყვაში, სადაც ის აღნიშნავდა 16 წლის ჰასაკის პირთათვის მაგარი სასმელების მიყიდვის აკრძალვის აუცილებლობას, მან აღნიშნა, რომ მამაკაცები ამ ჰასაკში კიდევ ბავშვები არიან და მათ, როგორც ასეთებს უნდა მოვექცეთო. ამას-თან, დაუმატა ლედი ასტორმა საერთო სიცილის ქვეშ, თქვენ, მამაკაცები, საერთოდ ბავშვები ხართ და ამიტომ გვიყვარხართ ჩვენ, ქალებსო. მიუხედა-ვათ იმისა, რომ ლედი ასტორის პროექტის წინააღ-მდეგ მრავალი გამოვიდა,—კანონპროექტი მაინც იქმნა მიღებული ხმების დიდი უმრავლესობით. მხო-ლოდ 56 დეპუტატი დარჩა გულგრილი კომპლიმენ-ტებისადმი, რომელიც უძღვნა ლედი—დეპუტატმა მამრობით სქესს და მათ კანონპროექტის წინააღ-მდეგ მისცეს ხმა.

— **კრატერები აღმოსავლეთ აფრიკაში.** ინ-გლისის სამეცნიერო ექსპედიციის ხელმძღვანელი აღმოსავლეთ აფრიკაში ბარონსი საინტერესო ცნო-ბებს იძლევა დამქრალი ვულკანების შესახებ, რომ-ლებიც ტბა ტანგანაიკის ახლოს მდებარეობენ. უდი-დესი მათში არის კრატერი, რომელიც არის გაღ-რით 19 კილომეტრი, ხოლო გარეგნობით 56 კილო-მეტრი. თავისი სიდიდით ის პირველია დედამიწაზე. კრატერის კედლები მეტად მრუდე და 600 მეტრი სიმაღლისა. თვით კრატერი შიგნით დაფარულია სქელი ტყით, რომელშიც უამრავი მხეცი სცხოვრობს, რაც აიხსნება მით, რომ ეს ადგილი მიუწდომელია მონადირეებისათვის. მხეცებს შორის მრავალია—დიდი ტახები, თხები, სპილოები; მათ არ შეუძლიათ კრატერიდან ამოსვლა. კრატერის შუა გულში დი-დი ტბა არის. ბარონის აზრით ტანგანაიკის მიდა-მოებში შეიძლება ისტორიული ხანის წინა ცხოვრე-ბის მასალების პოვნა.

## ხელოვნება

**ვიქტორ გამყრელიძის ბენეფისი.** 35 წელი-წადია, რაც მსახიობი ვიქტორ გამყრელიძე ქარ-თულ სცენას ემსახურება. მისი მუშაობა სცენაზე იყო არა დროგამოშვებითი, არამედ მუდმივი. მას სხვა სამსახური ან ინტერესი არ ჰქონდა, გარდა ქართულ სცენისა; და მართლაც მას შეალია მთელი ახალგაზრდობა და ენერგია. სამაგიეროდ ვიქტორ გამყრელიძემ საპატიო ადგილი დაიკავა ჩვენ სცე-ნაზე და ჭეშმარიტად დაიმსახურა ჩვენი ხალხის სიყვარული და პატივისცემა, როგორც ნიჭიერმა და დამსახურებულმა მსახიობმა. მან შექმნა ქართულ სცენაზე რამოდენიმე საინტერესო ტიპი, როგორც პეპო, გაბო, ოტია, ანანია, გიჟუა, შადიმანი და სხ. მისი მსახიობობის საუკეთესო თვისებანი: ბუნებრი-ვობა, გარკვეული დიქცია, მხატვრული გადმოცემა ტიპისა, დარბაისლობა და სხ. გამყრელიძე ქართუ-ლი სცენის საუკეთესო რეზონიორი არის.

ჩვენც იმედი გვქონდა, რომ ჩვენი საზოგადო-ება დააფასებდა გამყრელიძის ნაამაგარს და მის ბენეფისს დაესწრებოდა, რათა ამითი მადლობა გადაეხადა დამსახურებულ მსახიობისთვის. მაგრამ ჩვენი იმედი მთლიანად ვერ გაგვიმართლდა. 10 აპ-რილის წარმოდგენას რუსთველის თეატრში ნაკლე-ბად დაესწრო საზოგადოება. შეიძლება ბევრმა და-აბრალოს ბენეფიციანტის მიერ არჩეულ პიესას „სინათლე“-ს, რომელიც ჩვენ საზოგადოებას არა ერთხელ უნახავს, მაგრამ ამ შემთხვევაში პირველი ადგილი გამყრელიძის პატივისცემას უნდა ჰქონოდა მიკუთვნებული.

რაც შეეხება თვით პიესის ასრულებას ვერ ვიტყვით, რომ იყო დამაკმაყოფილებელი თვით ბე-ნეფიციანტი ასრულებდა მეფის როლს და შეასრუ-ლა ჩვეულებრივ დარბაისლურად და გადმოგვცა ნამდვილი ტიპი მეფისა, მას მხარს უმშვენებდა ნი-ჭიერი მსახიობი ქალი ნინო დავითაშვილი დედოფ-ლის როლში. არ მოგვეწონა ამ საღამოს ჩვენი დრა-მის პრემიერი ალ. იმედაშვილი, რომელიც ასრუ-ლებდა პასუხისმგებელ როლს დარვიშისას. ალ. იმე-დაშვილი დიდი ნიჭის მსახიობია, მას შეეძლო თა-ვის როლისთვის მიეცა მეტი სიცოცხლე და ინტე-რესი, მეტი მორალობა და სხ., მაგრამ იმედაშვილმა მეტად უგულოდ შეასრულა თავისი როლი და და-ტოვა მკრთალი შთაბეჭდილება. რაც რომ მსახიო-ბი მეტად გამოცდილი და ნიჭიერია, მას მეტი მოე-თხოვება, ასე რომ იმედაშვილის მიერ ასრულებას დარვიშის როლისას, გაცილებით მეტი შთაბეჭდი-ლება უნდა დაეტოვებინა ვიდრე ეს აღნიშნულ სა-ღამოს იყო.

ჩვეულებრივი სიცოცხლით ჩაატარა თავისი როლი ტასო აბაშიძემ, დანარჩენი მსახიობნი საერ-თო ანსამბლს ხელს უწყობდნენ. მხოლოდ კორიშე-ლი ნაკლებ გვანდა სახელოვან გმირს, როსტომ მე-ფის დამმარცხებელს.

სუსტი იყო ბალეტი, საშუალო გუნდი, მხო-ლოდ ვაჟების ხმები სუსტად ისმოდა.

დადგმის მხრივ პიესამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა, ეტყობოდა რეჟისორის ხელი. დასასრულ ბენეფიციანტს საზოგადოებამ ოვაციები გაუმართა და მრავალი საჩუქარიც მიართვეს.

თეატრში მოქმედების დროს წესრიგი არ არის. ქანდარაზე ბევრი თავხედი ხელს უშლის საზოგა-დოებას დამშვიდებით უსმინოს პიესას, საჭიროა მეტი სისასტიკე ადმინისტრაციისაგან.

ქართლელ-იმერელი.

**საოპერო მსახიობ ვასო შარაშიძის ბენეფისი.** პარასკევს 13 აპრილს საოპერო თეატრში გაიმარ-თება ბენეფისი ახალგაზრდა და ნიჭიერ საოპერო მსახიობ ვასო შარაშიძისა. ბენეფიციანტი ერთი წელიწადია რაც მსახურობს ტფილისის საოპერო დასში, სადაც დაიმსახურა საზოგადოების და პრე-სის ყურადღება. ბენეფიციანტი სდგამს როსინის უკვდავ ოპერას „სევილიელი დალაქი“ სადაც შე-ასრულებს დონბაზილოს პარტიას და „თავად იგორს“. მონაწილეობას ღებულობენ საოპერო და-სის საუკეთესო ძალები. იმედია ქართველი საზო-გადოება დაესწრება წარმოდგენას და ამითი წა-აქეზებს მართლაც ნიჭიერ საოპერო მსახიობს.

**მაკბეტი ქართულ სცენაზე.** შაბათს 14 აპ-რილს რუსთველის თეატრში იდგმება პირველად ქართულ სცენაზე შექსპირის ტრაგედია „მაკბეტი“. თვით მაკბეტის როლს შეასრულებს მსახიობი ალ. იმედაშვილი, ლედი მაკბეტის—ნინო ჩხეიძე. პიესას სდგამს რეჟისორი მიხ. ქორელი.

**გაზეთი „მწვერვალი“.** რედაქციამ მიიღო ბა-თომში გამოცემული გაზეთი „მწვერვალი“. გაზეთი დიდი ფორმატისაა და მონაწილეობენ; დ. კასრაძე, კ. კაპანელი, სერ. გერსამია, და სხვ. შიგ მოთავსე-ბულია აგრეთვე ეკ. გაბაშვილის ახალი მოთხრობა. რედაქტორი: დ. კასრაძე, გამომცემელი: თ. ჩიქვა-ნია. გაზეთი ტფილისში ღირს 25,000 მან.

**„ლომისი“.** სრ. საქ. მწერალთა კავშირის ორ-განო „ლომისი“ რედაქციის დამოუკიდებელ მიზე-ზებისა გამო მორიგი კვირის ნომერი არ გამოვა.

**ძუკუ ლოლუას იუბილე.** მაისისთვის ძუკუ ლოლუას 25 წლის იუბილე გაიმართება ფოთში, ახალსენაკში და შავზღვის სანაპიროს ადგილების დაბაქალაქებში, სადაც უმთავრესად მოღვაწეობდა როგორც ლოტბარი და საზოგადო მოღვაწე. საიუ-ბილეო კომისია უკვე შეუდგა მუშაობას, რომელიც ადგილობრივ ახალგაზრდა მომღერალთა მიერ არის არჩეული. იუბილე გაიმართება ტფილისშიაც. ტფი-ლისის ხელოვანთა კომიტეტს მოუვიდა აგრეთვე შუამდგომლობა პენსიის დანიშვნის შესახებ. ეს შუა-მდგომლობა გადაეცა განათლების კომისარიატის მთავარ სახელოვნო კომიტეტს.

## წერილი რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ თქვენ გაზეთ „ტრიბუნაში“ ადგილი დაუთმოთ ჩემს შემდეგ გან-ცხადებას: მე ვმუშაობდი საქ. სოც.-ფედერალის-ტთა პარტიაში 1916 წლიდან. 1918 წლიდან კი მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა მაშვრალთა პარ-ტიაში და ვითვლებოდი ახალგაზრდათა საქალაქო კომიტეტის მდივნათ და აგრეთვე პარტიის ბიუროს გამგეთ ქ. ქუთაისში. ორი წელია რაც წითელ ლაშ-ქარში ვმსახურებ ქ. ბათომში (მეორე ქართულ ლე-გიონში) და არ მქონდა საშუალება მემუშავნა პარ-ტიაში. და ვინაიდან ამ ჟამად განთავისუფლებული ვართ სამსახურის ბეგრისაგან, მსურს ვიმუშაო მშრომელთა ინტერესების დამცველ საქ. მემარცხე-ნე სოც.-ფედერალისტთა პარტიაში.

კონსტანტინე მ. ხვინგია.

ქ. ქუთაისიდან.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ტირაჟი 900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ № 190. საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტეინის ქუჩ. № 2.